საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030114524037719

№ 01-166/ო **13 / მაისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სათათბირო ორგანოს - პირველადი ჯანდაცვის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ და „ჟ“ ქვეპუნქტების, 21-ე მუხლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. პირველადი ჯანდაცვის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით, მართებული და ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) შეიქმნას სათათბირო ორგანო - პირველადი ჯანდაცვის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო).

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები და სათათბირო სტატუსით მონაწილე წევრები, ასევე საჭიროებისამებრ, მოწვეული სხვა სპეციალისტები.

მუხლი 3.

1. საბჭოს მუდმივმოქმედ წევრთა შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ზაზა ბოხუა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი წოწკოლაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

დ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ე) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, საბჭოს წევრი;

ვ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ზ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, საბჭოს წევრი;

თ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი, საბჭოს წევრი;

ი) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი;

კ) აფხაზეთის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, საბჭოს წევრი;

ლ) აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, საბჭოს წევრი.

2. საბჭოს მუდმივმოქმედი წევრის არყოფნის (მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, შვებულება და ა.შ.) შემთხვევაში, აღნიშნული წევრის ნაცვლად, საბჭოში მონაწილეობას იღებს მისი მოვალეობის შემსრულებელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

3. საბჭოს მუშაობაში სათათბირო სტატუსით მონაწილეობენ შემდეგი ორგანიზაციების ხელმძღვანელები/წარმომადგენლები:

ა) ა(ა)იპ „საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია“;

ბ) ა(ა)იპ „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი“;

გ) ა(ა)იპ „პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშემწყობთა ასოციაცია“;

დ) ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანება“;

ე) ა(ა)იპ „საქართველოს ექიმთა ასოციაცია“;

ვ) სს „ევექსის კლინიკები“;

კ) შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“;

ზ) შპს „ჯეო ჰოსპიტალს“;

თ) შპს „გორმედი“;

ი) შპს „მედალფა“;

ე) სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრებისა და აჭარის ა/რ ფილიალის 10 „სოფლის ექიმის“ კოორდინატორი.

4. საბჭოს მუშაობაში სათათბირო სტატუსით მონაწილეობა ეთხოვოთ:

ა) მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის სპეციალისტს;

ბ) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს;

გ) გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის სპეციალისტს;

დ) ევროკავშირის საქართველოში წარმომადგენლობის პროექტის მენეჯერს;

ე) აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის სოციალური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელს;

ვ) გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს.

მუხლი 4.

1. საბჭოს ფუნქციებად განისაზღვროს:

ა) ქვეყნის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული პოლიტიკის და სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;

ბ) პირველადი ჯანდაცვის ქსელის ჩამოყალიბებასა და მართვასთან დაკავშირებული მიზნების, სტრატეგიების, რესურსების საერთო მოთხოვნების განსაზღვრაში მონაწილეობა;

გ) პირველადი ჯანდაცვის დონეზე მიმდინარე პროგრამების და სერვისების შეფასება, პრობლემების საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

დ) პირველად ჯანდაცვაში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების სხვადასხვა ასპექტების ურთიერთკავშირისა და კოორდინირების უზრუნველყოფა და ეტაპობრივი ამოცანების განსაზღვრა;

ე) პირველადი ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამების კოორდინაციის მიზნით სათანადო წინადადებების შემუშავება.

2. საბჭო უფლებამოსილია:

ა) ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, კერძო სადაზღვევო კომპანიებთან, დონორ ორგანიზაციებთან, მოაწყოს მოსმენები მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ;

ბ) მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და ინფორმაცია;

გ) საჭიროების შემთხვევაში, შექმნას სამუშაო ჯგუფები და განსაზღვროს მათი ფუნქციები და ამოცანები.

მუხლი 5.

1. საბჭოს ხელმძღვანელობს და მის საქმიანობას წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარის მოადგილე.

2. საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროების მიხედვით.

3. სხდომის მოწვევის დროსა და დღის წესრიგს განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:

ა) საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხმის უფლებით ან ხმის უფლების გარეშე, მოიწვიოს სხვა უწყებების წარმომადგენლები, შესაბამისი ექსპერტები და/ან სპეციალისტები;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

5. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს მუდმივმოქმედ წევრთა ნახევარზე მეტი.

6. საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს დამსწრე მუდმივმოქმედ წევრთა უმრავლესობა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, სადაც აღინიშნება მიღების თარიღი, რიგითი ნომერი (სხდომის რიგითობის მიხედვით) და გადაწყვეტილების შინაარსი.

8. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს წევრები და საბჭოს მდივანი.

9. ცალკეულ შემთხვევებში, საბჭოს წევრებთან საკითხის შეთანხმება ან სხდომის ოქმზე თანხმობის გამოხატვა შესაძლოა განხორციელდეს ელექტრონული ფორმითაც, რომლის პროცედურას განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.

10. საბჭოს სხდომის მოწვევის ორგანიზებას, დღის წესრიგის შემუშავებას, საბჭოს სხდომამდე საბჭოს წევრებისათვის დღის წესრიგის მიწოდებასა და საბჭოს სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს - საბჭოს მდივანი.

11. საბჭოს სამდივნოს ფუნქციასა და საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი.

მუხლი 6.

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სათათბირო ორგანოს – პირველადი ჯანდაცვის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 16 აგვისტოს N01-163/ო ბრძანება.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.